დანართი №1

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

"ქანდაკების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - თბილისის აპოლონ
ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი: 18 დეკემბერი, 2025

დასკვნის წარდგენის თარიღი: 28 იანვარი, 2026

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ხარაზიშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მიხელიძე, შპს - კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ქანდაკება
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Sculpture
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სახვითი ხელოვნების ბაკალავრი ქანდაკებაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0213 სახვითი ხელოვნება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, №54382; 22/01/2024
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	შემოქმედებითი კონკურსი და ერთიანი ეროვნული გამოცდები
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

"ქანდაკების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს გააცნოს სამგანზომილებიანი მხატვრული ფორმის სპეციფიკა და გადასცეს ხელოვნების ამ სფეროში დაგროვებული ცოდნა, გააცნოს ქართული ქანდაკების სკოლისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, შეასწავლოს ტექნოლოგიური სიახლეები და სამგანზომილებიანი მხატვრული ფორმის შესაქმნელად აუცილებელი ის კანონები, რომლებიც ქმნიან ქანდაკების ხელოვნების განმსაზღვრელ თავისებურებებს. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტში თანამედროვე სამყაროსთვის დამახასიათებელ ურბანულ, ლანდშაფტურ და საპარკო სივრცეებში სამგანზომილებიანი ფორმად ქმნადობისათვის აუცილებელი უნარების ჩამოყალიბებას. პროგრამის პრიორიტეტია ქანდაკების ხელოვნებაში არსებული ტრადიციული და თანამედროვე ფუნდამენტური ხედვის პარალელური შესწავლა, რათა სტუდენტს მიეცეს საშუალება ინდივიდუალური ხედვის მიგნებისა და განვითარების. პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს, ხანგრძლივობა კი 4 წელს. ქანდაკების პროგრამა მოიცავს საბაზისო დისციპლინათა ბლოკში შემავალ კურსებს 18 კრედიტის მოცულობით, პროფესიულ დისციპლინათა ბლოკს - 140 კრედიტის, საუნივერსიტეტო თეორიული დისციპლინების ბლოკს - 36 კრედიტისა და არჩევით კურსებს 46 კრედიტის ოდენობით. პროგრამის ერთ-ერთი სავალდებულო კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას მიღებული ცოდნის საფუძველზე და გამოფენაზე წარდგენას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 18 დეკემბერს. ვიზიტი განხორციელდა მონიტორინგის ფარგლებში, კერძოდ შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის 54382 გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით განსაზღვრული შეხვედრები, ადგილზე გადამოწმდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტმა ჩაირა აკადემიურ გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე შეფასებული იქნა ქანდაკების საბაკალავრო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტების შემდეგი კომპონენტების მიხედვით, 1-ლი სტანდარტი სრულად, მე-2 სტანდარტი არ შეფასებულა, მე-3 სტანდარტის 3.1 კომპონენტი იქნა შეფასებული, მე-4 სტანდარტი, გარდა 4.2 კომპონენტისა და მე-5 სტანდარტი კი შეფასდა სრულად.

შესაბამისად, დადასტურდა, რომ ქანდაკების საბაკალავრო პროგრამა სრულად აკმაყოფილებს 1-ლი სტანდარტის 1.1, 1.2, 1.4 და 1.5 კომპონენტების მოთხოვნებს, ხოლო მეტწილ შესაბამისობაშია 1.3 კომპონენტის მოთხოვნებთან. მე-3 სტანდარტის 3.1 კომპონენტის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მე-4 სტანდარტის 4.1, 4.3 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, მე-5 სტანდარტის 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, რომელიც განსაზღვრავს თუ როგორ და რომელი საკვანძო კომპონენტით ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები, და ასახულ იქნება სწავლის შედეგების რეგულარულ ანალიზში, დაკვირვების შედეგების მექანიზმის გაუმჯობესების მიზნებისათვის გამოსაყენებლად.

- **რჩევები**

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

- სასურველია უსდ-მ გააგრძელოს მუშაობა გრძელვადიანი სასწავლო გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობების მოზიდვის მიმართულები.

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

- სასურველია გარკვეული კითხვარები, მაგ. საუნივერსიტეტო სერვისების შეფასება არ იყოს სრულიად სტრუქტურირებული.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ინსტიტუციის არგუმენტირებულ პოზიციასა და რეკომენდაციის გათვალისწინების მიმართულებით უსდ-ს მიერ დაგეგმილი ცვლილებების შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციას. გამომდინარე იქიდან, რომ ინსტიტუცია იზიარებს ექსპერტთა მიგნებებს, რეკომენდაცია რჩება უცვლელი სახით.

● ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების საბაკალავრო პროგრამას 2023 წლის 29 დეკემბერს მენიჭა აკრედიტაცია, 2030 წლის 29 დეკემბრამდე, 2 წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების პირობით.
პროგრამას განესაზღვრა რეკომენდაციები და რჩევები შემდგომი განვითარებისათვის. პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა შესრულებულია სრულად. კერძოდ:

- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის, რეკომენდირებულია, შექმნას დარგობრივი სამიზნე ნიშნულები პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წევრებმა პროცესში უნდა ჩართონ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი - ***შესრულებულია ნაწილობრივ.***
- რეკომენდებულია მეტი ლიტერატურის უზრუნველყოფა თანამედროვე ქანდაკების მიმართულებით, რაც მოიცავს საერთაშორისო თეორიულ კლასიკოსებს და ხელოვნებას საჯარო სივრცეებში - ***შესრულებულია.***
- სამხატვრო აკადემიამ უნდა იმუშაოს სტუდენტების ჩართულობაზე სასწავლო გაცვლით პროგრამებში, მაგ., ერასმუსის პროგრამებში, რათა გააძლიეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია, ასევე სტუდენტების მოტივაცია და მრავალფეროვნება მხატვრულ საქმიანობაში -***შესრულებულია.***
- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა - ***შესრულებულია.***
- რეკომენდებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელს ეკავოს აკადემიური თანამდებობა - ***შესრულებულია.***
- რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება, პროექტის შეფასების კომისიის დაკომპლექტების პროცედურის შეცვლა და შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება -***შესრულებულია.***
- რეკომენდებულია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ბიუჯეტში თანხების ჩართვა. შეიმუშავეთ უფრო მდგრადი ბიუჯეტი, მასალების მხარდაჭერის შესაძლებლობის ჩათვლით - ***შესრულებულია.***

- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა და კლასტერში არსებულ პროგრამებთან უფრო ეფექტური თანამშრომლობა -***შესრულებულია.***
- რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა ჩაატაროს სტუდენტების/კურსდამთავრებულების გამოკითხვები არა მხოლოდ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით. სტუდენტებმა ასევე პერიოდულად უნდა შეაფასონ უნივერსიტეტის მომსახურებებიც - ***შესრულებულია.***
- რეკომენდებულია სტუდენტების გამოკითხვის თემატიკის მასშტაბის კიდევ უფრო გაზრდა და დივერსიფიკაცია, რათა მოიცავდეს არა მხოლოდ სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასებას, არამედ ზოგად საუნივერსიტეტო საკითხებსაც. ამავდროულად, მას უნდა ჰქონდეს პერიოდული სახე და აქტიურად ხდებოდეს შედეგების გაანალიზება - ***შესრულებულია.***

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა (არ შეფასებულა)**	აირჩიეთ შესაბამისი
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	აირჩიეთ შესაბამისი
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	აირჩიეთ შესაბამისი
2.4	სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა (არ შეფასებულა)	აირჩიეთ შესაბამისი
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები]
[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო]
[რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე]
[შეფასების კრიტერიუმები]

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უსდ-ს მისიასთან, რომლის მიზანია, სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა ქანდაკების მიმართულებით. თეორიული და პრაქტიკული ცოდნით სტუდენტს საშუალება ექნება, მომავალში დაკისრებული სამუშაო ზედმიწევნით ზუსტად შეასრულოს. კერძოდ, პროგრამა მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი და მრავალმხრივი კომპეტენციების მქონე მოქანდაკე მოამზადოს, რომელსაც შესწავლილი ექნება როგორც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ასევე თეორიული საბაზისო დისციპლინები.

კურსის მიმდინარეობის პერიოდში, პრაქტიკული და თეორიული საგნების შესწავლის მიზანია გააცნოს სტუდენტებს ხატვის ხელოვნების არსი, მნიშვნელობა და ამოცანები პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულების საფუძველზე, რომელიც სტუდენტებს დაეხმარება შექმნან საკუთარი გამორჩეული მხატვრული ხედვა. შეისწავლონ და შეეძლოთ ორგანზომილებიანი სიბრტყის გარდაქმნა სივრცულ ობიექტად, დაეუფლონ ზეპირ კონსტრუქციულ აზროვნებას და შეძლონ ობიექტის გონებაში წარმოსახვა მის ვიზუალიზაციამდე. მიზნების მისაღწევად, საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებს შეასწავლოს ისტორიული და თანამედროვე

თემები, რომელიც დაეხმარებათ აირჩიონ და სადიპლომო ნამუშევრის სახით წარმოადგინონ თავიანთი ძირითადი ფოკუსი სწავლების ბოლო წელს.

შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის მიზნები არის ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტურია და მიღწევადი პროგრამის წარმოდგენილი სტრუქტურის ფარგლებში. პროგრამის მიზნები ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელიც საჭიროა გააჩნდეს ქანდაკების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს. პროგრამის მიზნები თანხვედრაშია სწავლების სფეროსთან, საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებთან და ასახავს პროგრამის სპეციფიკას.

წინა სააკრედიტაციო შეფასების ფარგლებში, მოცემულ კომპონენტში რეკომენდაცია არ ყოფილა გაცემული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქანდაკების საბაკალავრო პროგრამა
- სილაბუსები
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში
- სამუშაო ჯგუფის ოქმები
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქანდაკების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. პროგრამაში არსებული სასწავლო კომპონენტები უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგი ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სასწავლო სფეროს თავისებურებებთან. სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტები იძენენ პროგრამის დასრულების შემდეგ. ქანდაკების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია 17 შედეგის სახით და ასახავს დარგობრივ კომპეტენციებს. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ისინი იყოფა ცოდნისა და გაცნობიერების, უნარებისა და პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ნაწილებად.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები სრულად გადიან ქანდაკების შესრულების ციკლს. საწყისი ესკიზიდან, სრულყოფილი ქანდაკების შექმნამდე. სწავლობენ ხელსაწყოების უსაფრთხო გამოყენებას აკადემიური პერსონალის ზედამხედველობით.

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. კურსდამთავრებულები ქანდაკების სფეროში ავლენენ ფუნდამენტური პრინციპებისა და ღირებულებების ყოვლისმომცველ გაგებასა და პრაქტიკულ გამოყენებას, მათ შორის ისეთი ცნებები, როგორიცაა პლასტიკურობა, ტექსტურა, ფერი, მასშტაბი და კომპოზიცია, ასევე მხატვრული მეთოდები, ტექნიკა და ტექნოლოგიები. გარდა ამისა, სტუდენტები აღიარებენ ვიზუალური ზემოქმედების მნიშვნელობას, აჩვენებენ კრიტიკულ შეფასებას და

ანალიტიკურ უნარებს საკუთარი და სხვისი ნამუშევრების შეფასებისას და შეუძლიათ გაარჩიონ სხვადასხვა ისტორიული პერიოდის ქანდაკებების ვიზუალური ესთეტიკა.

წინა საკრედიტაციო შეფასების ფარგლებში, მოცემულ კომპონენტში რეკომენდაცია არ ყოფილა გაცემული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქანდაკების საბაკალავრო პროგრამა
- სილაბუსები
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში
- სამუშაო ჯგუფის ოქმები
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[1.2 პროგრამის სწავლის შედეგები]	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქანდაკების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება უნივერსიტეტში მოქმედი ,,სწავლის შედეგების შეფასება, აკადემიური მოსწრების შეფასების მექანიზმები და შედეგების ანალიზის წესის" მიხედვით. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოითხოვს პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური, მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის მჭიდრო თანამშრომლობასა და ჩართულობას. არაპირდაპირი შეფასების მეთოდები მოიცავს კურსდამთავრებულთა დასაქმების ან/და თვითდასაქმების მაჩვენებლები, დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულთა შეფასება, კარიერული წინსვლის მაჩვენებელი და სხვ. სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი ფორმებია თითოეულ სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა.

წინა სააკრედიტაციო შეფასების პროცესის ფარგლებში გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაცია - "ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის რეკომენდირებულია, შექმნას დარგობრივი სამიზნე ნიშნულები პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წევრებმა პროცესში უნდა ჩართონ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი".

გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდან აღინიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა უნივერსიტეტმა და იმუშავა შეფასების მექანიზმის გაუმჯობესებაზე, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. საანგარიშო პერიოდში განხორციელებულმა დაკვირვებამ გამოავლინა გადახრის მაღალი ზღვარი გარკვეულ შეფასებებში, რამაც განაპირობა დადგენილი ნიშნულების გადახედვა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

15 % A -ფრიადი (91-100);

20 % B -ძალიან კარგი (81-90);

30 % C-კარგი (71-80);

20 % D-დამაკმაყოფილებელი (61-70);

15% E-საკმარისი (51-60).

აღსანიშნავია, რომ ზემოთაღნიშნული რეკომენდაცია ასევე მიემართებოდა ქანდაკების პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებას სამიზნე ნიშნულების

დადგენისას, ვინაიდან აკადემიური მოსწრების ანალიზი არ აკეთებს აქცენტს რაოდენობრივის გარდა ხარისხობრივ შეფასებაზე, რაც რესურსების ოპტიმიზაციის ფონზე, საშუალებას მისცემს ინსტიტუციას გაზომოს სწავლის შედეგების მიღწევის ეფექტიანობა, განსაკუთრებით კი იმ კომპონენტებთან მიმართებით, სადაც ხდება სწავლის შედეგების განმტკიცება. აღნიშნული მიზნით რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით. აღნიშნული გეგმის მიხედვით მიზანშეწონილია განისაზღვროს თუ როგორ რომელი კომპონენტით ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები და ასახულ იქნას სწავლის შედეგების რეგულარულ ანალიზში, დაკვირვების შედეგების მექანიზმის გაუმჯობესების მიზნებისათვის გამოსაყენებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქანდაკების საბაკალავრო პროგრამა
- სილაბუსები
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში
- სამუშაო ჯგუფის ოქმები
- სწავლის შედეგების შეფასება, აკადემიური მოსწრების შეფასების მექანიზმები და შედეგების ანალიზი
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, რომელიც განსაზღვრავს თუ როგორ და რომელი საკვანძო კომპონენტით ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები, და ასახულ იქნება სწავლის შედეგების რეგულარულ ანალიზში, დაკვირვების შედეგების მექანიზმის გაუმჯობესების მიზნებისათვის გამოსაყენებლად.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქანდაკების საგანმანათლებლო პროგრამისა და თანდართული დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ ქანდაკების საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. მათი შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია კი შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

პროგრამის მომზადებასა და გაუმჯობესებაში ჩართულნი არიან დაინტერესებული მხარეები: პროფესორები, მოწვეული ლექტორები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და პოტენციური დამსაქმებლები. საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა არის 8 სემესტრი და მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამა 140 კრედიტს გამოყოფს სავალდებულო კურსებისთვის, სპეციალობის ფარგლებში. პროგრამა აერთიანებს ქანდაკების 6 განსხვავებულ მიმართულებას, ტექნოლოგიებისა და კვლევის თვალსაზრისით თანაბრად გადანაწილებული თეორიული და პრაქტიკული საგნებით:

• პლასტიკური ვიზუალური ხელოვნება (6 კრედიტი)

• კომპოზიციის საფუძვლები (3 კრედიტი)

• კომპოზიცია (24 კრედიტი)

• პლასტიკა (18 კრედიტი)

• პლასტიკური იმპროვიზაცია (18 კრედიტი)

• ექსპერიმენტული პლასტიკა (12 კრედიტი)

ქანდაკების 6 მიმართულება ტოვებს ადგილს ინტერპრეტაციისთვის და კარგად ემთხვევა სწავლის შედეგებს, როგორიცაა ექსპერიმენტი, კონტექსტთან დაკავშირებული ქანდაკება, ბალანსი ტრადიციასა და თანამედროვე საგნებს შორის.

ვიზიტის ფარგლებში უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუს ფარგლებში აღინიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია აქტიურად მუშაობს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. სტუდენტები და აკადემიური პერსონალი მონაწილეობენ მოკლევადიან გაცვლით პროგრამებსა და აქტივობებში; ასევე ხშირად იმართება ვორქშოფები და გამოფენები. პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აღსანიშნავია, რომ აქტიურად ხორციელდება უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმნა და არსებული ქართულენოვანი ლიტერატურის შეძენა.

წინა სააკრედიტაციო შეფასების ფარგლებში, მოცემულ კომპონენტში რეკომენდაცია არ ყოფილა გაცემული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქანდაკების საბაკალავრო პროგრამა
- სილაბუსები
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში
- სამუშაო ჯგუფის ოქმები
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქანდაკების პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საბაკალავრო სასწავლო პროგრამის, კურსების სტრუქტურა, წინაპირობები, სწავლების მეთოდები და რესურსები სტუდენტებს ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში. სასწავლო კურსების სილაბუსები შეიცავს: კურსის დასახელებას, კურსის ლექტორ(ებ)ს, კოდს, სტატუსს, კრედიტების რაოდენობას, საათების რაოდენობას (სტუდენტის საათობრივი დატვირთვა - ლექცია, სემინარი, დამოუკიდებელი სამუშაო საათები), კურსზე მიღების წინაპირობებს, მიზანს, სწავლის შედეგებს, სწავლებისა და სწავლის მეთოდებს, შეფასების სისტემას (ფორმებსა და ქულებს), კურსის ფარგლებში გასავლელი თემების სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურას.

უმაღლესი საგანმანათლებელო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ, უსდ-ს პროგრამის ფარგლებში განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია: ,,რეკომენდებულია

მეტი ლიტერატურის უზრუნველყოფა თანამედროვე ქანდაკების მიმართულებით, რაც მოიცავს საერთაშორისო თეორიულ კლასიკოსებს და ხელოვნებას საჯარო სივრცეებში.''

აღნიშნული რეკომენდაცია ორგანიზაციამ სრულიად გაიზიარა და შეიძინა ელექტრონული წიგნები, რომლით სარგებლობაც, როგორც სტუდენტებს ასევე პედაგოგებსაც შეუძლიათ სრულიად უფასოდ.

1. Hal Foster-“the Return of the Real”
2. Nicolas Bourriaud-“Relational Aesthetics”
3. Michael Fried-“Art and Objecthood
4. Miwon Kwon-„One Place After Another Site-Specific Art and Locational identity“

აღსანიშნავია, რომ აკადემიის თანამშრომლები ახორციელებენ ზემოთ აღნიშნული წიგნების თარგმნას და მალე ქართულად ნათარგმნი რიდერებიც ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისთვის. ფაკულტეტმა რეკომენდაციის გათვალისწინებით, ასევე შეიძინა ქართულენოვანი წიგნები:

1. სახვითი ხელოვნების სწავლების საწყისები
2. შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება
3. რუსუდან გაჩეჩილაძე-უცნობი მოდერნისტი
4. ჩანაფიქრიდან ქმნილებამდე
5. ქართული ქანდაკების 100 წელი
6. საქართველო, თანამედროვე ქანდაკება

უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ცვლილებების საფუძველზე, რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქანდაკების საბაკალავრო პროგრამა
- სილაბუსები
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში
- სამუშაო ჯგუფის ოქმები
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

- **არ შეფასებულა**

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

- **არ შეფასებულა**

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

- **არ შეფასებულა**

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

- **არ შეფასებულა**

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ბაკალავრო პროგრამას - "ქანდაკება" **წინა სააკრედიტაციო შეფასების ფარგლებში განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:** "სამხატვრო აკადემიამ უნდა იმუშაოს სტუდენტების ჩართულობაზე სასწავლო გაცვლით პროგრამებში, მაგ. ერაზმუსის პროგრამებში, რათა გააძლიეროს პროგრამის

ინტერნაციონალიზაცია, ასევე სტუდენტების მოტივაცია და მრავალფეროვნება მხატვრულ საქმიანობაში.”
ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ისინი გასული ორი წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდნენ აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებაზე. კერძოდ: 2024 წლის ზაფხულში თსსა სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ქანდაკების მიმართულების სტუდენტები ხელმძღვანელთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ საფრანგეთში, ლევილის ქართველ ემიგრანტთა მამულში საქართველოს დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, სადაც ლევილის მამულში მათი ნამუშევრების გამოფენაც მოეწყო სახელწოდებით „მეტალის სიმპოზიუმი“.
2025 წლის აპრილის თვეში სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა ალჟირში და ომანში მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმებში. ასევე, აღინიშნა, რომ 2026 წლის იანვარში ქანდაკების პროგრამის სტუდენტები არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაციის ორგანიზებით ჩინეთში დაგეგმილ თოვლის და ყინულის ქანდაკებების საერთაშორისო სიმპოზიუმში მიიღებენ მონაწილეობას.
აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურეს როგორც სტუდენტებმა, ისე კურსდამთავრებულებმა. მათ ასევე გამოხატეს კმაყოფილება და აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი არ იშურებს ძალისხმევას, რათა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით სტუდენტებს მრავალფეროვანი შესაძლებლობები შესთავაზოს.
გაცვლითი პროგრამების, ვორქშოფების, გამოფენების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

[რეკომენდაციები]

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია უსდ-მ გააგრძელოს მუშაობა გრძელვადიანი სასწავლო გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობების მოზიდვის მიმართულებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

3.1_სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

- **არ შეფასებულა**

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქანდაკების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს სულ 26 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, საიდანაც 3 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი, 1 მეცნიერთანამშრომელი და 10 მოწვეული ლექტორია. პერსონალის პირადი საქმეები, მათი შემოქმედებითი საქმიანობის დამადასტურებელი ინფორმაცია და პუბლიკაციების ჩამონათვალი, ადასტურებს რომ მათი განათლება, კვლევითი და სამუშაო გამოცდილება აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო კომპეტენციების მოთხოვნას.

წინა სააკრედიტაციო პროცესის ფარგლებში გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები ადამიანურ რესურსებთან მიმართებით:

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელს ეკავოს აკადემიური თანამდებობა.

2025 წელს სახვითი ხელოვნების ფაკულტეტს დაემატა სამი აკადემიური პერსონალი, მათ შორის ქანდაკების მიმართულებაზე ერთი ასოცირებული პროფესორი.

პროგრამას ხელმძღვანელობს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნისა და გამოცდილების და სწავლის სფეროს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში როგორც აკადემიური პერსონალი. უსდ აგრძელებს მუშაობას დარგის შესაბამისი აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიმართულებით.

პროგრამა უზრუნველყოფილის სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციები შესრულებულია.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებ**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**

	რაოდენობა	ით პერსონალი[5]	მქონე პერსონალი[6]	
სულ აკადემიური პერსონალი	**5**	**4**	**3**	**5**
- პროფესორი	0	0	0	0
- ასოცირებული პროფესორი	3	3	2	3
- ასისტენტ-პროფესორი	2	1	1	2
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	10	5	0	0
სამეცნიერო პერსონალი	1	1	0	0
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი	0	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქანდაკების საბაკალავრო პროგრამა
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში
- აკადემიური კონკურსის დოკუმენტაცია
- პერსონალის პირადი საქმეები
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

[5] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[6] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

კომპონენტი	შეფასება
4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

- **არ შეფასებულა**

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიაში ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რომლის შესაბამისად, დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევას. ასევე, ყოველსემესტრულად ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის მონიტორინგი სტუდენტების გამოკითხვისა და შეფასების საშუალებით. გარდა ამისა, დაწესებულებას დანერგილი აქვს თვითშეფასების წარდგენისა და შეფასების მექანიზმი სწავალებისა და კვლევის პროცესში ჩართული პერსონალისათვის, შეფასების შედეგები კი მიიღება მხედველობაში განმავითარებელი და წამახალისებელი ღონისძიებების დაგეგმვისას.

წინა სააკრედიტაციო შეფასების ფარგლებში, ინსტიტუციამ მიიღო შემდეგი რეკომენდაცია - "რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება, პროექტის შეფასების კომისიის დაკომპლექტების პროცედურის შეცვლა და შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება." აკადემიური პერსონალის შეფასების ფორმა მოიცავს აქტივობებს როგორც სასწავლო პროცესში მონაწილეობის, ასევე კვლევითი და შემოქმედებითი მიმართულებებით, მათ შორის - შემოქმედებითი საქმიანობა, საგანმანათლებლო და მეთოდური მუშაობა, სასწავლო დაწესებულებაში დამატებითი საქმიანობა, სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელობა და სხვ. რეკომენდაციის შესაბამისად, სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტების დაფინანსების წესში შევიდა გარკვეული ცვლილებები. შეიცვალა სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტების კომისიის დაკომპლექტების წესი, დარგობრივი კომისია კომპლექტდება ფაკულტეტებისა და სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ. კომისიის წევრები კი აფილირებულ და შესაბამის ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად, მოწვეული, აკადემიასთან არააფილირებული, დარგობრივი ექსპერტ(ებ)იც არიან. გარდა ამისა, შემუშავდა სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმები და გაიწერა სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტების დაფინანსების წესებში, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. შესაბამისად, სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში შემოქმედებითი პროექტების შიდა დაფინანსების წესი განსაზღვრავს დაფინანსების წესსა და პირობებს საჯაროობის, გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში შემოქმედებითი პროექტების შიდა დაფინანსების წესი
- პერსონალის შეფასების წესი და ფორმები
- პერსონალის პირადი საქმეები
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქანდაკების საბაკალავრო პროგრამით დასახული სწავლის შედეგები მიიღწევა სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით: უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული გარემო მორგებულია სტუდენტების ინტერესებს; სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო და სამკითხველო დარბაზები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, სასწავლო კურსისთვის შესაფერისი თვალსაჩინოებით; საინფორმაციო/ელექტრონული რესურსებით, უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა. პროგრამის ეფექტიან განხორციელებას ემსახურება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს სილაბუსებით განსაზღვრული ლიტერატურის ხელმისაწვდომობას. სტუდენტებს, მოწვეულ თუ აკადემიურ პერსონალს შეუძლიათ, ისარგებლონ სხვადასხვა სამეცნიერო ბაზებით.

საანგარიშო პერიოდში ქანდაკების პროგრამას დაემატა ახალი სამუშაო სივრცე სტუდენტებისათვის. სტუდენტები იღებენ მხარდაჭერას სივრცეში მუშაობისა და გამოფენების ორგანიზების მიმართულებით, ასევე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამუშაო მასალების შესყიდვას, ასლგადამღები მულტიფუნქციური აპარატის ხელმისაწვდომობასა და სხვა საჭირო ინვენტარს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგები
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[4.4. მატერიალური რესურსი]	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი ბიუჯეტის შესაბამისად, ქანდაკების საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი გაანგარიშებულია 52 სტუდენტზე და შეადგენს 167 000 ლარს, აქედან შემოსავალი სტუდენტების გადასახადიდან - 117 000 და შემოსავალი საბიუჯეტო ასიგნებიდან 50 000 ლარია.

წარმოდგენილი ბიუჯეტი ითვალისწინებს სახელფასო ანაზღაურებას 118 832 ლარის ოდენობით, მიზნობრივ ხარჯებს 45 800 ლარისა და არაპირდაპირ ხარჯებს, რომელიც იფარება აკადემიის საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

ინსტიტუციას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები წინა სააკრედიტაციო შეფასების ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ:

- რეკომენდებულია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ბიუჯეტში თანხების ჩართვა.
- შეიმუშავეთ უფრო მდგრადი ბიუჯეტი, მასალების მხარდაჭერის შესაძლებლობის ჩათვლით.

2024-2025 სასწავლო წლის მაჩვენებლებით სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ქანდაკების მიმართულების საბაკალავრო პროგრამისთვის ბიუჯეტში გაიწერა და გათვალისწინებულ იქნა თანხა პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის - თავისუფალი პროექტები (სპეციფ. მასალა, სპეც. ინსტრუმენტები და სხვ.) 12 000 ლარის, კვლევითი საქმიანობა (მათ შორის : სპეც. მასალა და ინსტრუმენტები, სპეც. ლიტერატურა და სხვ.) 13 000 ლარისა და სასწავლო პროცესისთვის სამუშაო მასალა 17 400 ლარის ოდენობით. გარდა პროგრამის ბიუჯეტისა, საჭიროების შემთხვევაში, საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდანაც შესაძლებელია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული თანხების მოძიება და განკარგვა. საანგარიშო პერიოდში მომზადებულ ბიუჯეტს არ აქვს უარყოფითი ბალანსი, შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, ბალანსი შეადგენს 2 368 ლარს. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციები შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი პასუხისმგებლობა სასწავლო პროცესის შეფასების, საგანმანათლებლო პროგრამების მიმდინარეობის შეფასების და

თვითშეფასების პროცესის წარმართვა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით, სამსახური შედგება როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ასევე ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან. ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართოს დაინტერესებული მხარეები და მიაწოდოს ინფორმაცია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მათი ეფექტიანობის შეფასების, ასევე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ, რათა ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დანერგვასა და განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, ქანდაკების საგანმანათლებლო პროგრამის წინა შეფასების ფარგლებში გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაცია - "ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა და კლასტერში არსებულ პროგრამებთან უფრო ეფექტური თანამშრომლობა". აღსანიშნავია, რომ რეკომენდაცია მიემართება აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდას და ექსპერტთა დასკვნაში მოყვანილი გარემოებების შესაბამისად, იმჟამად პროგრამას ემსახურებოდა მხოლოდ 2 აკადემიური პერსონალი. აღნიშნული რაოდენობრივი მაჩვენებელი გაუმჯობესებულია, 4.1 კომპონენტში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად და ინსტიტუცია აგრძელებს აღნიშნული მიმართულებით მუშაობას.

სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან, მათ შორის სასწავლო პროცესის განმახორციელებლებთან ორგანიზებული ინტერვიუების ფარგლებში, გამოიკვეთა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ხარისხის მართვის პროცესებში და მათი ინფორმირებულობა ხარისხის უზრუნველყოფის პრიორიტეტებსა და აქტივობებთან დაკავშირებით.

ხარისხის უზრუნვლეყოფის სამსახური ფუნქციონირებს აღნიშნული პრინციპების დაცვით და ეფუძნება დემინგის ციკლს, ე.წ. “PDCA” პრინციპებს. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები, ასევე პროგრამების განვითარების ჯგუფის თითეული წევრი იცნობს პროგრამების მიმართ საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, ფლობს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ინფორმაციას და ჩართულნი იყვნენ რეკომენდაციის შესრულების სამუშაო პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის კვლევის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[5.1. შიდა ხარისხის შეფასება]	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, ასევე, გარე ექსპერტის შეფასებას. უნივერსიტეტი განიხილავს გარე შეფასების შედეგად მიღებულ რეკომენდაციებს, დასახავს ხარისხის გაუმჯობესებების გზებს ან შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს განსახორციელებელ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს ან/და სტრუქტურულ ერთეულებს, დროის მონაკვეთსა და ა.შ.

ქანდაკების საგანმანათლებლო პროგრამას 2023 წელს მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2 წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების პირობით და განესაზღვრა რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის. უსდ-მ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მეშვეობით, უზრუნველყო აღნიშნულ მიგნებების განხორციელებაზე ორიენტირებული სამუშაო პროცესის უზრუნველყოფა. პროგრამების განვითარების ჯგუფმა, სხვა შესაბამის პირებთან ერთად, იმუშავა გასაუმჯობესებელ მხარეებთან მიმართებით, ასევე რეკომენდაციის შესრულების გზების დასახვასა და განხორციელებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის კვლევის შედეგები
- გარე ექსპერტის შეფასება
- თსსა შიდა ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და შედეგების გამოყენების ანგარიში (2023-2025 წწ)
- გარე შეფასების შედეგების ანალიზი
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისია მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები აფასებენ სალექციო კურსებს. ასევე, ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის პერიოდული შეფასება. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას.

წინა სააკრედიტაციო პროცესში გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდული შეფასებასთან მიმართებით:

- რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა ჩაატაროს სტუდენტების/კურსდამთავრებულების გამოკითხვები არა მხოლოდ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით. სტუდენტებმა ასევე პერიოდულად უნდა შეაფასონ უნივერსიტეტის მომსახურებებიც;

- რეკომენდებულია სტუდენტების გამოკითხვის თემატიკის მასშტაბის კიდევ უფრო გაზრდა და დივერსიფიკაცია, რათა მოიცავდეს არა მხოლოდ სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასებას, არამედ ზოგად საუნივერსიტეტო საკითხებსაც. ამავდროულად, მას უნდა ჰქონდეს პერიოდული სახე და აქტიურად ხდებოდეს შედეგების გაანალიზება.

უსდ-მ დანერგა სტუდენტების მიერ საუნივერსიტეტო სერვისებისა და პროგრამის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმი, დამატებითი კითხვარების ინიცირების მეშვეობით. კმაყოფილების კითხვარის შედეგები, სასწავლო გარემოს, მატერიალური ბაზის, სპეციფიკური სახელოსნოების/ დანადგარების, ინსტრუმენტების მიმართულებით, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პროგრამის განვითარებისათვის, კითხვარების შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახდა დამატებითი სამუშაო და სასწავლო ფართის მობილიზება ქანდაკების საგანმანათლებელო პროგრამის სტუდენტებისათვის. ასევე, გაიზარდა სამხატვრო მასალებით სტუდენტთა უზრუნველსაყოფად პროგრამის ბიუჯეტში განსაზღვრული თანხა. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა ინტერვიუებმა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ცხადყო რომ ხარისხის კვლევებში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციები შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის კვლევის შედეგები
- ხარისხის კითხვარები
- თსსა შიდა ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და შედეგების გამოყენების ანგარიში (2023-2025 წწ)
- გარე შეფასების შედეგების ანალიზი
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია გარკვეული კითხვარები, მაგ. საუნივერსიტეტო სერვისების შეფასება არ იყოს სრულიად სტრუქტურირებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

[ხელმოწერები:]

[აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის]

თამთა ცხოვრებაძე

[აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების]